№ 278
დეკემბრის 28, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 278
დეკემბრის 28, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ახალ-სენაკში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საჩხერეში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

მომავალ დღესასწაულებისთვის

მივიღე დიდი პარტია კახეთის საუკეთესო ღვინოებისა

ვედრო 2 მ. 40 კაპეიკიდგან ვიდრე 10 მანეთამდე, ბოთლი 15-დგან კაპ. ვიდრე 1 მანეთამდე. სარდაფები იმყოფება: 1, შუა-ბაზრის თავში, წინამძღვარიშვილის შენობაში; 2, ოლგას ქუჩაზედ, გაბაევის შენობაში. მსყიდველებს შეუძლიანთ, როგორც აქ, ტფილისში, აგრეთვე სხვა-და-სხვა ქალაქებიდგანაც მოითხოვონ ფულით, აგრეთვე „ნალოჟენი პლატეჟით“.
(2—483—2) ს. ი. კურდღელოვი და ამხ.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა სიაში, სი[illegible]რში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში [illegible]ღვარ-გარეთ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—71)

სამკერვალო
ქალთა ტანსამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☛ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.** ☚

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

№ 26. ტელეფონი № 176.

ქართული თეატრი

კვირას 29 დეკემბერს, 1902 წ.

იაფ-ფასიანი დილის წარმოდგენა.

შუადღის 12 საათზედ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

ეფემია მესხის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქ., თარგმნილი ფრანგულიდან დ. მესხის მიერ.

ამ პიესისთვის საგანგებოდ მომზადებულია რკინის გზის მატარებელი, რომელიც სცენაზედ გაივლის.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია.

მზადდება წარმოსადგენად „გრიგალი“ „მელანიას ოინები“. „ჩატეხილი ხიდი“, „მიკუნქული ბედნიერება“, „სიძე სიმამრი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30, ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ზძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შჯაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ს. ტ. არჯანიტაძი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟ“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედოევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. ბედოევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. ვ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 28 დეკემბერი.

დღეს კაცი ისეთ გაზეთს ძვირად აიღებს ხელში, რომ ოსმალეთისა და ოსმალთა წყევლა-კრულვა, ან ლანძღვა-გინება, ან ქირდვა-დაცინვა მაინც არ ამოიკითხოს. ზოგი ყაჩაღთა ბრბოს უწოდებს, ზოგი ტყის ნადირს ადარებს, ზოგი მტარვალთა სამყაროდ იხსენიებს და სხვა-და-სხვა; ერთი სიტყვით, თუ მკითხველი გულით დაენდო ამ ცნობებს, უეჭველია დარწმუნდება, რომ ოსმალი, ალბად, აფთარი უნდა იყოს ადამიანის სახითაო, ან-კი სხვა რა იფიქროს კაცმა, რომელსაც ყოველი ნაკლულევანება ოსმალისა, არამც თუ დაწვრილებით, ხშირად გაზვიადებითაც აღნიშნული; მხოლოდ მის ღირსებას სრულიად არავინ იხსენიებს.

ჩვენ ეს ცნობები ცალმხრივი, გადაჭარბებული გვგონია, და ამიტომ ჩამოვაგდეთ სიტყვა ოსმალთა და მათ დღევანდელ მდგომარეობის შესახებ; ჩვენის აზრით, როგორც გაზვიადებულ ქება-დიდებას, ისე გადამეტებულ წყევა-თრევას, არავისათვის არ მოაქვს სარგებლობა. ჩვენ არ ვკისრულობთ,—აწ რა საჭიროა,—არც გამოსარჩლებას და არც ბრალმდებლობას; მხოლოდ გვსურს მკითხველს სინამდვილე დავანახოთ და არა წინასწარ აღებულის აზრით ავუხვიოთ თვალი.

ეხლანდელი ოსმალი ბუნებით ზრდილობიანი და დარბაისელია, გულადი და პურადი, დინჯი და ზომიერი; საქმეში—ალალ-მართალი, აღებ-მიცემობაში—დიდად პატიოსანი; პირში და ლხინში—ამტანი და დიდსულოვანი; გაზვიადებული პატივისცემა აქვს თავის ერისა და ამაყობს თავის შთამომავლობით. ფიზიკურად ხომ უხვად დაუჯილდოვებია იგი ბუნებას: თვალად-ტანადი, ახოვანი. ან რაა საკვირველი: საბერძნეთის, ბალკანეთის სლავიანთა, ჩერქეზეთისა და საქართველოს საუკეთესო ასულნი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ათასობით და ათი-ათასობით მიჰყავდათ ოსმალეთს, სადაც თითო კაცი სამსა და ოთხს ცოლს ირთავდა; უეჭველია, მესამე და მეოთხე შთამომავლობა ასეთ რჩეულ ცოლ-ქმართა ლამაზი უნდა ყოფილიყო, და ასეც მოხდა. თამამად შეუძლიან სთქვას კაცმა, რომ ამ ჟამად წმინდა სისხლის ოსმალი სრულიად არ მოიპოვებაო. ასეთია ოსმალი საზოგადოდ.

რომ ოსმალნი მართლა ისე ბოროტნი, ავაზაკნი და სისხლის მსმელნი იყვნენ, როგორც წამდა-უწუმ გაიძახიან ყოველის მხრით და—გარდა ამისა,—ამ საზიზღარ თვისებებს თავის ქვეშევრდომ ქრისტეანებზე იჩენდნენ,—განა ევროპის დიდს სახელმწიფოებს თვალთა ხედვის ისარმა უღალატა, თუ ადამიანური, კაცთ-მოყვარეობის გრძნობა დაეხშო?! მაშ, თუ ჰხედავს და ჰგრძნობს ამ ბარბაროსთა მტარვალობას, განა ძალა არ შესწევს, რომ ალაგმოს მჩაგვრელნი და შესწყვიტოს ჩაგრულთა ალალი სისხლის ღვრა? თუ-კი რაღაც ათიოდ მისიონერის მოკვლის გამო მთელი ქვეყანა შეინძრა, დიდმა სახელმწიფოებმა თითქმის ჯვაროსნობის ომი გამოუცხადეს ჩინეთს, შეესიენ, ააოხრეს და უმოწყალოდ გაანადგურეს იქაურობა,—განა ოსმალებს შეარჩენდნენ ათასობით ქრისტეანების ტანჯვა-წამებას? თუ კი ცხრა მთას იქით ოთხას მილიონ ხალხს არ დაერიდნენ, რომ

კადნიერებისათვის დაესაჯათ,—იქვე, თავის სუსტ მეზობელს ვერ დასტუქსავდნენ ათასგვარ ბოროტებისათვის? დასტუქსავდნენ-კი არა, ვგონებ, ტყავსაც გააძრობდნენ და სულსაც ამოხდიდნენ, რომ ყოველივე ის მართალი იყოს, რასაც ამბობენ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ოსმალეთი ისე იქცევა, როგორც ყოველი სხვა სახელმწიფო მოიქცეოდა მის ადგილას.

გმობისა და ზიზღის ღირსი იყო ოსმალეთი, როცა ამ ოცდა ხუთის წლის წინად მუსრს ავლებდა ბულგარელებს, გმობისა და ზიზღის ღირსი იყო იგი ამ წინა წლებში სომეხთა უწყალო გაჟლეტისათვის, გულის წყრომით ვივსებით მისდამი, როცა მაკედონელ მეამბოხეთა შეუბრალებელ დევნას ვიგონებთ; მთელის ჩვენის არსებით თანავუგრძნობთ ამ ჩაგრულთ და ვუსურვებთ მათ წმინდა მისწრაფებათა განხორციელებას; დიაღ, ესაა ჩვენი გულწრფელი სურვილი.

ცუდად იქცეოდა და იქცევა ოსმალეთი, მეტად სასტიკ, შეუბრალებელ ღონისძიებასა ჰხმარობს,—მაგრამ გაიხსენეთ დიდად განათლებული გერმანელები რაა სჩადიოდნენ ჩინეთში; ჩვენ არა ვგონებთ, პირუტყვს უფრო სასტიკად მოექცეს კაცი, ვიდრე იგინი ჩინელებს. გაიხსენეთ ინგლისის მთავარ-სარდლის რობერტის საქმეები სამხრეთ-აფრიკაში,—დედა-კაცებისა და ბავშვების ბანაკებისათვის ზარბაზნების დაშენა, ცეცხლითა და მახვილით განდგურება მშვიდობიან ფერმერებისა, დუმ-დუმის ტყვით ბრძოლა და სხვა-და-სხვა. ზოგი ეხლა ნახეთ, თუ რა დღეს უთევენ გერმანია და ინგლისი საბრალო ვენესუელას პატარა რესპუბლიკას!

სანთლითაც რომ ეძებოთ, სულგრძელობისა და სათნოების ნატამალსაც-კი ვერ ჰპოებთ მათს ხამოქმედოში, მაგრამ მათ მხეცსა და მტარვალს, ან ავაზაკსა და სისხლის მსმელს არავინ ეძახის. პირიქით ყველას ის აკერია პირზე, ინგლისი და გერმანეია გონების საუნჯე და ზნეობის ლამპარიაო.

ნუ თუ ჰგონია ვისმე, რომ ინგლისი, ან გერმანია, ან კიდევ სხვა რომელიმე სახელმწიფო, მეტის ლმობიერებით მოეკიდებოდა აჯანყებულ ქვეშევრდომთ, ვიდრე ოსმალეთი ეკიდება დღეს მეამბოხე მაკედონელებს? მართალია, ოსმალთათვის ეს ვერაფერი გასამართლებელი საბუთია; თუ ვინმე ცუდად იქცევა ეს იმას არ მოასწავებს, რომ სხვასაც ნება ჰქონდეს ცუდად-მოქცევისა, ჩვენ სრულიადაც არ ვამართლებთ ოსმალეთს; პირ-იქით, ვგმობთ მის ძალ-მომრეობას; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ოსმალეთს ისეთი არა ჩაუდენია-რა, რასაც სხვა განათლებული და კულტუროსანი სახელმწიფო არ სჩადიოდეს.

მიზეზი ოსმალთა ათვალწუნებისა მრავალფეროვანია. ჯერ ერთი ისა, რომ სრულიად ვიგინდარა, უჯიშტომო ერი ძალით შეიჭრა ევროპაში და ისეთი გეზი ადგილი დაიჭირა რომ სოლივით ჩაეჭედა დიდ სახელმწიფოთა შორის. მეორეც ისა, რომ ოსმალთ სარწმუნოება—მაჰმადიანობა და ქრისტიანობა დასაბამითვე დაუძინებელი მტერნი იყვნენ ურთ-ერთისა. გაიხსენეთ ჯვაროსნობის ომები; განა მთელი საქრისტიანო სულით და გულით მოწადინებული არ იყო, რომ სრულიად აღეგავა დედამიწის პირიდგან ოსმალნი? მაგრამ იმ ჟამად ოსმალეთს დიდი ძალა შესწევდა და მარტოდ-მარტომ გაუძლო მთელს ევროპას. მას შემდეგ რამდენიმე საუკუნემ განვლო, მაგრამ მაინც არ დასცხრა ეროვნული, და უფრო-კი სარწმუნოებრივი, სიძულვილი ოსმალთადმი. ვისთანაც უნდა აუტყდეს ოსმალეთს დავა, თუ გინდ ცათამდე მართალი იყოს, ყველა იმ წამსვე ოსმალთ მიაყრის ქვა და გუნდას,—არიქა! განდევნეთ სრულიად ევროპიდგან ეგ ველური, ეგ ბარბაროსნიო და სხ.

დღეს ყველანი იმას უსაყვედურებენ ოსმალეთს, შინაური მართვა-გამგეობა არ უვარგაო; საჭიროა რეფორმები მოახდინოს და მოაწესრიგოს დიდ სახელმწიფოთა მიხედვით შინაური მმართველობაო.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდგან დაწყებული, სწორედ იმ დროიდგან, რაც ტახტზე მუსტაფა ხონთქარი ავიდა, ოსმალეთი მუდამ მოწადინებული იყო რეფორმები შემოეღო, მაგრამ ევროპის სახელმწიფონი, განსაკუთრებით ახლო მეზობლები, ყოველის ღონისძიებით უშლიდნენ ხელსა. იგინი ჰშიშობდნენ, თუ ოსმალეთში ჯეროვანი სახელმწიფო წეს-რიგი დამყარდა, კიდევ უფრო გაძლიერდებაო; ეს-კი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მათს ფარულ მისწრაფებათა. არც მოსტყუვდნენ ანგარიშში დიდი სახელმწიფოები: ოსმალეთს კრეილივით დაუწყო ღრღნა შინაურმა უწესრიგობამ და იმდენად დაამაბუნა, რომ იმ სახელმწიფოებმაც-კი, რომელნიც წინად კრთოდნენ და ძრწოდნენ მის წინაშე, დაჯაბნვა მოუნდომეს. ყოველის მხრით მოსეული მტერი აქეზებდა და ხელს უწყობდა ოსმალეთის ქვეშევრდომებს, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ თავის მდგომარეობისა.

ამგვარად ოსმალეთს ნელ-ნელა გამოეცალა ხელიდგან საბერძნეთი, ყირიმი, სერბია, ბულგარია, მოლდავია, ვლახეთი და სხ. რუსეთმა ზედი-ზედ წაართვა მცირე აზიაში ბათომი, ყარსი და არდაგანი. ამ ოთხიოდ წლის წინად დაჰკარგა კრიტის კუნძული. ეხლა მაკედონია აუჯანყდა და მოსალოდნელია, რომ დიდი სახელმწიფოები ამ პროვინციასაც ისევე ჩამოართმევენ, როგორც, მაგ., ბულგარია, რომლის მბრძანებლად დღესაც ხონთქარი ითვლება, მაგრამ მხოლოდ სიტყვით და არა საქმით.

ზემოხსენებულ გარემოებათა წყალობით დაძაბუნებულ და დავალიანებულ ოსმალეთის მდგომარეობა სანუგეშოს არას წარმოადგენს. მთელ მის შინაურ აღებ-მიცემობას ბერძნები და სომხები ატრიალებენ; რკინის გზები, არხები და მთა-მადნები ხომ ევროპიელმა კაპიტალისტებმა ჩაიგდეს ხელში; მართალია, ოსმალეთს ძლიერი და მამაცი მხედრობა ჰყავს, მაგრამ ცალიერმა მხედრობამ რა უნდა გააწყოს, თუ სხვა არა გააჩნია-რა სახელმწიფოს!

ჩვენის აზრით, ერთად-ერთი საღსარი, რომელსაც შეუძლია რამდენადმე მაინც გამოაბრუნოს ოსმალეთის საქმეები, ისაა, რომ დროით შეუდგეს არა მარტო მაკედონიაში, არამედ საზოგადოდ მთელს იმპერიაში ძირითად სახელმწიფო ცვლილებათა მოხდენას და მით დაამშვიდოს მღრტვინავი ქვეშევრდომნი, (რომელთაც ზურგს უკან დიდი სახელმწიფოები უდგიან), სანამ ჯერ კიდევ არაა დაგვიანებული; თორემ, ვინაა თავმდები, რომ მაკედონიის მაგალითს ხვალ ალბანია არ მიჰყვეს და ზეგ კიდევ სხვა.

ტფილისი

✦ ბორჩალოს მაზრიდგან ჩამოსულმა სანდო კაცმა გვიამბო, რომ გზის თხრის დროს, ახტალის მახლობლად, მაღალ კლდის ღვიმეებიდგან გადმოცვივდა ბევრი ქართული ძველი ხელთნაწერებიო და ყველა ეს წიგნები სანაინის ბერებმა წაიღესო შესანახად. თვით ბატონიშვილის ვახუშტის გეოგრაფიაშიაც სწერია, რომ ამ მხარეს კლდეებში შენახული არისო ბევრი ქართული წიგნები. ეს მხარე კარგად დათვალიერებული აქვს ე. თაყაიშვილსა და ა. ქუთათელაძეს. კარგი იქნება, ამათვე ითაონ და ამ წიგნების კვალს ჩაუდგნენ, იქნება, ბევრი ახალი რამ გამოჩნდეს ჩვენის ისტორიისათვის.

✦ მოგვივიდა პატარა წიგნაკი „ხალხური ზღაპრები“, შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძის მიერ. წიგნაკში მოთავსებულია სამი ზღაპარი: „ორი ქოსატყუილა“, „ბიჭია მენახირე“ და „მეფე და სკვინჩა“.

✦ მომავალ წლის იანვრის პირველ რიცხვებში კრება ექმნებათ ამიერ კავკასიის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთ, რომელთაც უნდა მოილაპარაკონ სასულიერო სასწავლებლების პირველის სამის განყოფილების პროგრამმის შეცვლის შესახებ.

✦ 30 დეკემბერს ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში გაიმართება წარმოდგენა და კონცერტი. სცენის მოყვარულნი წარმოადგენენ „პარიჟელ ბიჭს“.

✦ დურგალთა ამხანაგობის „შორმის“ კრება დანიშნულია 29 დეკემბერს.

✦ შემდეგი კრება ტფილისის საგუბერნიო კომიტეტისა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად დანიშნულია 30 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე.

✦ დღეს, 28 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორის სადგომში საღამოს რვა საათზე დანიშნულია კრება ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარებელ უმთავრეს კომიტეტისა.

✦ გუშინ-წინ ავჭალის ქუჩის თეატრში ტფილისის საქვრივო პირველის სკოლის მოსწავლეთა სალიტერატურო და ვოკალური დილა ჰქონდათ.

✦ დღეს სახალხო წარმოდგენების სექციე რკინის გზის სახელოსნოების თეატრში წარმოადგენს „ავაზაკებს“ ან. ფურცელაძისას.

✦ დუშეთის მაზრაში, როგორც გვატყობინებენ, მძვინვარებს საქონლის ჭირი, რომლის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მიღებას უკვე შეუდგა მთავრობა.

✦ როგორც შევიტყეთ, არსდება ისეთი ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს კახური ღვინოები გაიტანოს საზღვარ-გარედ და ბაზარი მოუპოვოს იქ.

✦ დღეს, 28 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. სხვათა შორის, ქართულად წარმოადგენენ ავქ. ცაგარლის პიესას „ქცუისა მჭირს“. შეგირდები წაიკითხავენ ლექსებს ქართულსა, რუსულსა და სომხურს ენაზედ.

✦ 2 იანვარს ტფილისის სასულიერო სემინარიაში გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას, სემინარიის მოსწავლეთა გარდა, მიიღებენ სამაგალითო სკოლის მოსწავლენი.

✦ არა ერთხელ მიუქცევია პოლიციის ყურადღება ტფილისის მეეტლეთა გაფეთებულ მიმოსვლას, მაგრამ მაინც არაფერი არა ეშველა რა იმათ სიკერპეს; აი ერთი მაგალითიც: გუშინ-წინ, ღამის $11\frac{1}{2}$ საათზედ, ჩარიათინსკის თავდაღმართიდგან დაქანებული ეტლი, ლონდონის სასტუმროს ახლო, დაეჯახა წინ შეხვედრილ ეტლს; შიგ მჯდომ მანდილოსანს გული შეუწუხდა და იქვე, ლონდონის სასტუმროში შეიყვანეს მოსაბრუნებლად.

✦ დღეს, 28 დეკემბერს, ქალაქის სადგომში დანიშნულია ქალაქის სათინანსო, ხორცის დუქნებისა და გამგეობის წევრთა შეერთებული კრება; კრებამ უნდა მოისმინოს ხორცის დუქნების გამგის, ბ. ალიხანოვის მოხსენება, ხორცის ნიხრის მომატების შესახებ.

შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ მე-277 №-ში დაბეჭდილს წერილში „პარიჟის უნივერსიტეტი“, შემდეგი შეცდომებია: მესამე სვეტში მე-39—41 სტრიქონებში დაბეჭდილია: Ecole pavigue des Hanva Evudes, Ecole ves chavres, Inst, une Pasvem,—უნდა იყოს: Ecole pratique des Hautes Etudes, Ecole des Chartes, Institut Pasteur. სტრიქონი 50—51 დაბეჭდილია: Ecole pravigue Hauva Erades, უნდა იყოს: Ecole pratique des Hautes Etudes. სტრიქონი 57, 61 და 72 დაბეჭდილია: Ecole pravique, უნდა იყოს: Ecole pratique.

—

დაბეჭდილია „ახალციხის ამბებში“—სახელ-საკმელად—, უნდა იყოს: სანთელ-საკმელად.

—

წერილში „გარდამოხსნა იესო ქრისტესი“ მეოთხე სვეტზედ ზემოდან მე-4 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია: იოსებმა და ნიკოდიმოსმა სცხეს ნელსაცხებელიგვამსა და შეახვიეს არდაგითა. უნდა იყოს: იოსებმა და ნიკოდიმოსმა იესო ქრისტეს გვამი შეახვიეს არდაგითა და იხმარეს ნელ-საცხებელი.

ჩვენებური ამბები

გურჯაანი. „სოფელი ცნახე უძღდო, მაგ გაგიარე უჯუხოვდ“, რომ იტყვიან, სწორედ გურჯაანზე სათქმელი. ენა ვერ გამოსთქვამს და კალამი ვერ აღწერს იმ ამბებს, რაც ამ სოფელში ხდება: ქურდებმა და ავაზაკებმა აღარავის აღარ შეარჩინეს ცხენები, ქათამი და ინდაური, ერთის სიტყვით, ერთიანად გასწყვიტეს; სულ უკანასკნელი სამოცამდე ქურდობა მოხდა ამ წელში. ეს არ გვაკმარეს: გიორგობისთვის გასულს ავაზაკებმა გასტეხეს გურჯაანის ხევას-უბნის მთავარ-ანგელოზის ეკკლესია და გაიტანეს ქველაფერი, რასაც-კი ხელი მოჰკიდებოდა; სხვათა შორის, წაიღეს ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი მეფე ირაკლის დროინდელი. ამ დეკემბრის 18-ს, საღამოთი, ავაზაკებმა აიკლეს გურჯაანის მღვდლის გერასიმე ჭანტურიძის სახლი. ეს ორივე ქურდობა მოხდა ძალიან ხშირად დასახლებულ უბანში, სადაც რამდენსამე ნაბიჯზედ ბინადრობენ ბაკურციხის მოდიცის ბოქაული და ჩაფრები თავის „ურიადნი-

---

ფელეტონი

ჰ ე პ ე ლ ა

ანდრე ტერიესი

— წელიწადი რომ მიიწურება ხოლმე,— ასე დაიწყო ჩემმა მეგობარმა ჟაკმა,—წესსა და რიგზე მომყავს ჩემი შინაური, სოფლხო, მარტოხელა, უცოლშვილო კაცის საქმეებიო. დღესაც, დილით, როდესაც გართული ვიყავი ყუთში გაბნეულ ძველი ნივთების ჩხრეკითა და მოგონებათა მორევში ვცურავდი, ვიპოვნე თავდახურული კოლოფში დანემსილი ღამის პეპელა. ფრთები მოტეხილი ჰქონდა, სამკუთხიანი თავი გაჭეჭყილი, მაგრამ პეპელას მაინც შერჩენოდა და არ დაეკარგა თვისი ნაირ-ნაირობა—ვარდისა, მუქი და ზეთისხილის ფერი. კოლოფის ძირზე მინემსილი პეპელის დანახვაზე ვიგრძენ დაბერებულ, დახავსებულ გულში, დიდი ხანია დავიწყებული, რაღაც მონანიების მზგავსი გრძნობა. მწვანე, ვარდის ფერა პეპელამ გამიცოცხლა მწვავი მოგონება ერთი ტრაგიკული ამბისა, რომლის მიზეზიც მე ვიყავი.

მაშინ ოც-და-ხუთი წლისა ვიქნებოდი. შემთხვევით პატარა ქალაქ პუატუში მოვხვდი. ძრიელ მოწყენილადა ვგრძნობდი თავსა, რადგან არც ჭკუა-გონება და არც გრძნობანი ისეთის ახალგაზდა, მარტოხელა, უცოლშვილო კაცისა, როგორიც მე გახლდი, ვერა პოულობდა თვისის სურვილების დაკმაყოფილებასა. მეზობლები გავიცანი. სავინიანი— ასე ეძახდნენ მათ,—განმარტოვებით იდგნენ, სახლი ფართო ეჭირათ, რომელსაც გარს ერტყა ჩრდილ-მომფენი ბაღი და მდინარის კიდეებთან თავდებოდა.

ცოლქმარნი მყუდრო, განმარტოებულ ცხოვრებას ატარებდნენ. პირველ შეხედვით, კაცი იფიქრებდა, რომ ბედნიერადა ცხოვრობენო და თუმცა ხნით დიდად განსხვავდებოდნენ (ქ. ქალბატონი სავინიე ოცის წლით უმცროსი იყო) მაგრამ მაინც ასე გეგონებოდათ, რომ ერთმანეთი ძალიან უყვართო. მხოლოდ როცა ღრმად ჩაუკვირდებოდი შინაურ ცხოვრებას, შეატყობდი აზრისა, განათლებისა და ხასიათის სხვადასხვაობას, რომელიც ასე თუ ისე არღვევდა მათის ცხოვრების გარმონიას.

ბატონი ევარისტე სავინიე ორმოც-და-ათი წლისა გახლდათ. კაცი გულცივი, დინჯი, დარბაისელი და დამშვიდებული. ბუნება ისეთი ჰქონდა, რომ თხოულობდა პატივი ეცათ მისის ჩვეულებისათვის. მცირედად მოუხეშავი ევარისტე სავსებით დაიმონავა ენტომოლოგიამ და გატაცებით აგროვებდა მწერებს კოლექციისათვის. ამ გვარმა საქმიანობამ უფრო დაადინჯა ევარისტე და მიაჩვია წესსა და რიგსა. ასეთი მეთოდიური ცხოვრება-კი აჯავრებდა და აბრაზებდა ქ-ნ სავინიეს.

ქ-ნი სავინიე გადამდგარიყო ოც-და-ათ წელში. შავგვრემანი, პატარა ტანისა, სრული, ქ-ნი სავინიე სილამაზეს მოკლებული იყო, გარდა ლაჟვარდი გამომეტყველი თვალებისა. სახის მოყვანილობა უსწორ-მასწორო ჰქონდა, ფერი მკრთალი და დამჭკნარი, მიხვრა-მოხვრა კიდევ ულამაზო, უხერხული. მართალია, გარეგნობით მორცხვ პროვინციელ ქალსა ჰგავდა, მაგრამ ცოცხალი ჭკუა-გონების, ცეცხლ-მფრქვევი წარმოდგენისა და მღელვარე ბუნების პატრონი იყო. დაკვირვებული კაცი ადვილად შეატყობდა, რომ ეს დედაკაცი ალერსისთვის სანთელივით დნებოდა. კეთილი სავინიე-კი ვერც მიმხვდარიყო ამ ალერსის წყურვილს და ვერც ახერხებდა მის დაკმაყოფილებას.

ამგვარ ოჯახში, საცა ყველაფერი გაზომილ-განსაზღვრული იყო, და სადაც მხოლოდ რჩეული მეგობარნი დაიარებოდნენ სტუმრად, ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა ბერტა სავინიეს. თავისუფალი დრო იხარჯებოდა ხელსაქმის კეთებაში, ბიბლიოთეკიდგან აღებულ რომანების კითხვაში, ხანდისხან-კი ქალი ოცნებობდა სეირნობის დროს ხეებ შუა.

პირველად მკირად დავდიოდი სავინიანცა, მერე-კი მოუხშირე. სიყმაწვილეში ბლომად ვიჭერდი პეპლებს, მიყვარდა ეს საქმე და ამის გამო დიდის ყურადღებით ვშინჯავდი სავინიეს კოლექციებსა. თვით სავინიე ამბობდა, რომ ეს საქმე მე კარგად მეყურება და ცოდნაცა მაქვს. დრო და დრო სავინიე სადილათაც მეპატიჟებოდა. ბერტა პირველად მორცხობდა, უცხო კაცის დანახვაზე წითლდებოდა, მერე-კი შემეჩვია და სიამოვნებით დამხვდებოდა ხოლმე, როცა-კი იმათსა მივიდოდი. მე კიდევაც შევატყე, რომ ჩემი მისვლა განსაკუთრებულ სიამოვნებას აყენებდა, ისეთნაირად მართმევდა ხელსა და ნაზად მიყურებდა. ან რა გასაკვირველია ესა? მის ერთფეროვან არსებობაში მე შემქონდა მცირედი რამ სიყმაწვილე და სიახლე. ქალი გარეგან ქვეყნიერებას უერთდებოდა ჩემის წყალობით. ის შედედებული, დახავსებული ჰაერი, რომლითაც ბერტა იყო მოცული, შევარყიე და გავაახლე სიყმაწვილის ძალით. ამნაირად, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ჩემს მისვლას ბერტა მოუთმენლად ელოდებოდა და უფრო მეტის ყურადღებით ირთვებოდა და იკაზმებოდა იმ დღეს, როცა მე მელოდა ასეთმა აღმოჩენამ დიდად გაახარა ჩემი თავმოყვარეობა და მეც მეტის ხალისით და ყურადღებით დაუწყე ცქერა ბერტას. მალე სრულიად დავმეგობრდით და ხშირად ისეთ დროს ვირჩევდი ბერტას სანახავად, როდესაც მისი ქმარი შინ არ მეგულებოდა.

გულახდით, თითქმის ნაზად ვსაუბრობდით. სიყვარულით არ მიყვარდა ეს ქალი, სიცილს ვერ შევიმაგრებდი ვისმეს რომ ეთქვა, ვითომც მე ვეარშიყები ამ ქალსა. მაგრამ რა სახელი ჰქვია შემდეგ გარემოებას: რაც უფრო ხშირ-ხშირად ვხედავდი, სულ მავიწყდებოდა მისი ულამაზობა, მიმზვიდველ მხარეს-კი, წინად სრულიად შეუმჩნეველს, ბევრს ვპოულობდი. ბოლოს ხომ ბერტა წარმტაცის სილამაზის ქალად მეჩვენებოდა. თვით ბერტამ გადიყარა პროვინციალური მორცხვობა, უფრო გაბედულად და გატაცებით მესაუბრებოდა, ძლიერად ეყრდნობოდა ჩემ ხელს და როცა ჩვენი ხელები ერთმანეთსა ხვდებოდა, წინააღმდეგობას არ მიწევდა, თუ მე ქინიანობით მის ხელსა ვკუმშავდი. წინააღმდეგობას კი არა, მოულოდნელი გიჟმაჟობით და გატაცებით ბერტაც ხელებს მიჭერდა და მთლად გაალისფერებული ჩემს ალერსს ალერსითვე ეგებებოდა.

კათათვის ერთ საღამოს, ნასადილევს, ჩვენ სამნი, ბ-ნი სავინიე, ბერტა და მე, სასტუმრო ოთახში შევიკრიბენით ყავის სასმელად. ოთახის ფანჯრები იყურებოდა აივნისაკენ, რომელიც ბაღისაკენ იყო დაშვებული. თუმცა ჯერ დაბნელებული არ იყო, სავინიემ ლამფები აანთო. მისის ფიქრით, ეს საუკეთესო საშუალებაა ღამის პეპლების და მწერების ადვილად დასაჭერად.

ქ-ნი სავინიე დაეყრდნო ფანჯარას ჩემ გვერდით. ჩვენი მხრები ერთმანეთსა ხვდებოდა. ზაფხულის საღამოს თბილმა ნიავმა, იასამნის და ყვავილთა სურნელებამ ძილად დაგვათრო და ჯადოსნურ ბურანში გაგვახვია. სავინიე ჩვენს უკან იჯდა და პეპლებს თვალს არ აშორებდა, რომელნიც თავს დასტრიალებდნენ აივნის სვეტებსა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბინდ-ბუნდის მყუდროებაში შემოგვესმა სუბუქი ბზუილი. ცოტაც და ჩვენ თმებს შეეხო ფრთანნი. ყურთან გაიფრიალა ღამის დიდმა პეპელამ, რომელიც ჩვენ თავებს მოეხეთქა თუ არა, იმ წამს გაფრინდა ბაღისაკენ.

— ეგ ტურფა ღამის პეპელაა!—წამოიძახა ბ-ნმა სავინიემ,—მოითმინეთ, მე ეხლავ დავიჭერ მაგ პეპელას.

ბადე იქვე იდო, სავინიემ სტაცა ხელი და მოჰკურცხლა ბაღისაკენ. ფეხის ხმა, ხან აჩქარებული, ხან დაწყნარებული, სადღაც შორს მიილიულა და მოსწყდა.

— დიდის ხნით წავიდა!—მიჩურჩულა ბერტამ ნაზი, დაცინვის კილოთი.

— პეპლებს რომ გამოუდგება, სრულიად ავიწყდება ქვეყნიერობა...

ფანჯარას მოშორდა. კრინტიც არ დამიძრავს, ისე მაგრად მოვიზიდე ბერტას ორთავ ხელები. უცბად, მოულოდნელად ბერტას თავი მოწყვეტილი ვარსკვლავივით ჩემს მხარზედ დაეცა. გულში მივიკარ, გადუკოცნე სახე-პირი, ვეალერსებოდი გრძნობით, გატაცებით. ბერტა თავდავიწყებამდე გაიტაცა ჩემმა ნაზმა ალერსმა და გრძნობითვე მეალერსებოდა. უგუნურების და ვნების მოულოდნელმა აფეთქებამ დაგვავიწყა დროცა და ადგილიც. რა ხანმა გაიარა ასეთ მდგომარეობაში, აღარ მახსოვს. ყრუ გაკვირვებამ მოგვესმა გარედგან. გონს მოვედით, თავდავიწყებას ადგილი აღარა ჰქონდა. ელდა გვეცა, შევხედეთ ერთმანეთს და მოვკურცხლეთ ოთახიდგან. გარეთ არავინ იყო. მხოლოდ ჩვენს ახლოს მოისმოდა ფრთების ფართხალი. მოვიხედეთ და დავინახეთ ფანჯარაზე კოლოფი, რომლის ძირზე ახლად მინემსილი, ჯერ კიდევ სულბრძოლი ვარდის ფერა პეპელა სულსა ჰლევდა.

კარგად მივხვდით, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ ვერა ვბედავდით ხმა-მაღლა ამის თქმას. მშვენივრად-კი გვეყურებოდა, რაც ამბავი დატრიალდა. პეპელა რომ დაიჭირა, ბ-ნი სავინიე ნასიამოვნები ამოვიდა აივანზე. მის კმაყოფილებას და ამპარტავნებას სამზღვარი არა ჰქონდა. ფანჯარასთან მივიდა და ლამპრის შუქზე იხილა ჩვენი ღალატი. გაშეშებული, თავზედ მეხდაცემულსავით, ფანჯარას მოშორდა და გაიქცა, გულის სიღრმიდგან აღმოხდა ბოროტებით სავსე კივილი, რომელმაც ჩვენ გონს მოგვიყვანა.

შიშისა და სირცხვილისაგან გაქვავებულსავით ვიდექით, როდესაც ბაღის სიღრმიდგან მოგვესმა ხმა, თითქოს წყალში რაღაც ჩავარდაო.

— აა!—დაიკვნესა საცოდავმა ქალმა,—ის წყალში ჩავარდა...

ქალი მართალს ამბობდა. ... ნებზა დაბნეულნი მდინარესთან გავჩნდით, მაგრამ კვალიც ვერ ვიპოვნეთ იმისი, ვისაც ვეძებდით. ამომავალმა მთვარემ გაგვინათა ნაპირზედ დატოვებული, სიფრთხილით დაკეცილი, პიდჯაკი და შლიაპა ჩვენის მსხვერპლისა.

მართლაც, მეორე დღეს იპოვნეს სავინიეს გვამი, მთლად გავსებული ლამითა და წყლის ბალახითა. სამუდამოდ გაუგებარი დარჩა ნამდვილი მიზეზი სავინიეს სიკვდილისა. ხალხი ფიქრობდა, ალბად სავინიე პეპლებს დასდევდა დასაჭერად, უცაბედად ჩავარდა მდინარეში და დაიხრჩოვო. ძალიან სწყინდათ მისი სიკვდილი.

ორი კვირის შემდეგ მიცვალებულის დასაფლავებისა, ქ-ნ სავინიესაგან მივიღე პატარა ამანათი. ეს გახლდათ კოლოფი დანემსილი პეპელათი და პატარა ბარათით:

„ჩვენ ერთმანეთს თავის დღეში ვეღარა ვნახავთ.

მშვიდობით!“

— აი რისათვის,—სთქვა ჩემმა მეგობარმა ჟაკმა,—კოლოფში ნაპოვნი ოცდახუთმეტის წლის შემდეგ პეპელა მომეჩვენა მსჯავრდამდებ აჩრდილად. ამ პეპელამ გააღვიძა და განაახლა ჩემში სასტიკი და მწვავი სინანული, რომელიც არასოდეს არ დასცხრება.

ა. ყიფშიძე.

კა"-თ. ერთის სიტყვით გურჯაანელებს ისე გაუჭირვეს ამ ქურდებმა და ავაზაკებმა საქმე, რომ არ იციან, რა ჰქმნან და ვის მიმართონ საშველად.

—

ოზურგეთი. გურიის ყველა სოფლები სწავლა-განათლებით თან-და-თან წინ მიდიან, მაგრამ ეს-კი არ ითქმის ჩვენ ქალაქ—ოზურგეთზე, რადგან საზოგადო საქმე ას კაცში ერთსაც არ აინტერესებს. ხანდახან მართავენ წარმოდგენას ღარიბთა სასარგებლოდ და ფული სად მიდის—ეს მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის.

ამ დღეებში ოზურგეთის მოურავმა დ. ცეცხლაძემ შეადგინა ოქმი და წარუდგინა ვაჭრებს ხელის მოსაწერად. ცეცხლაძეს აზრად აქვს გააუმჯობესოს ქუჩები და გაასუფთაოს. ვშიშობთ, ეს საქმე დაუბოლოვებელი არ დარჩეს.

გუნთაიშვილი.

—

აბაშა. აქამდე დიდი უკმაყოფილება ისმოდა მცხოვრებთა შორის იმის გამო, რომ ადგილ-მამულზე გადასახადი სწორედ არ იყო განაწილებული. ამ უკმაყოფილებამ მიაღწია მთავრობის ყურამდე და მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად გამოგზავნა მაზრის უფროსი და გადასახადთა ამკრები ინსპექტორი, რომლებიც აქ მოვიდნენ 7 დეკემბერს და ადგილობრივ სამმართველოს შენობაში მოიწვიეს მცხოვრებნი, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან ნაკლებად გამოცხადდნენ ამ საჭირ-ბოროტო კითხვის გადასაწყვეტად. მაზრის უფროსის წინადადებით, არჩეულ იქმნენ საგანგებოდ რამდენიმე პირნი თავიანთ თანაშემწეებით, რომელთაც უნდა დაიარონ მამულები, გაზომონ და სრულის სისწორით აწერონ.

ამის შემდეგ ერთმა აზნაურთაგანმა მცხოვრებთა პირით მოახსენა მაზრის უფროსს: დაგვეხმარეთ გზების გაკეთებაში და სკოლის დაარსებაში, თორემ ყელამდე სიბნელეში ვიმყოფებითო. მაზრის უფროსმა უპასუხა: რაც შესაძლებელია, შეგეწევით დაგეხმარებითო...

დასწრე.

რუსეთი

18 დეკემბერს სახელმწიფო საბჭო შეუდგა სასამართლოს რეფორმის პროექტის განხილვას.

— პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ საკომერციო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ ნება მიეცემათ, უმაღლეს სპეციალურს სასწავლებელს გარდა, უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე შესვლისაო. ჯერ-ჯერობით ნება დართულია მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში შესვლაო.

— ფინანსთა სამინისტროს 100 წლის შესრულების დღესასწაული 29 დეკემბრისათვისაა დანიშნული. ამ დღეს გამოვა კრებული, რომელშიაც იქნება მოთავსებული სამინისტროს მოღვაწეობა ალექსანდრე პირველიდგან დაწყებული.

— პეტერბურგში გლინკას ძეგლის ასაგებად 1 დეკემბრამდე შემოსულა—46,512 მ.

— „Новое Время"-ს სევასტოპოლიდგან დეპეშით ატყობინებენ: ორი კვირაა, რაც შავს ზღვაზე საშინელი ქარიშხალი მძვინვარებს. გემები ორ-სამ დღის განმავლობაში ზღვაში იმყოფებიან. მგზავრები სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნულნიო.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. დეპეშით გადმოცემული ცნობა,—სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა კერბერისა და სელლის მოლაპარაკებამაო,—თურმე ვენაში მომხდარ მინისტრთა უკანასკნელ კრების შედეგი ყოფილა.

— კერბერის განზრახვა ჩეხ-გერმანელთა ურთიერთობის შესახებ თანდათან ირკვევა: მინისტრ-პრეზიდენტმა ოფიციალურად მოუწოდა ორსავე მხარეს ჩეხ გერმანელთა კონფერენციაზე დასასწრებლად, რომელიც იანვარში უნდა მოხდეს.

ეს მოწოდება ძალიან წააგავს 1890 წელს გრაფ ტააფეს მიერ შედგენილს პროგრამას. კრებაზე დასასწრებლად მოწვეულია ყველა საპოლიტიკო დასი და ჯგუფი ბოჰემიისა და მორავიის სეიმისა. მოწვეულნი არიან აგრეთვე წევრნი ზედა პალატისა. კერბერს განზრახვა აქვს, რომ კრებამ უპირველეს ყოვლისა გამოარკვიოს, თუ როგორ მოწესრიგდეს ენათა ხმარების საქმე სახელმწიფო დაწესებულებებში. გერმანელები ეხლავე აცხადებენ უკმაყოფილებას, რომ მომავალ კრებას ბჭობა ექნება არა მარტო ბოჰემიის შესახებ, არამედ მორავიისაც. მორავიის გერმანელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ შემდგარი „ეროვნული საბჭო" თურმე აპირობს მოაგონოს მინისტრ-პრეზიდენტს, რომ გერმანული ენა უეჭველად სახელმწიფო ენად უნდა იქმნეს აღიარებული და ჩეხების ოლქებშიაც-კი არ იქმნას მიღებული ჩეხური ენა მორავიაში. მთავრობა-კი, სცდილობს დაარწმუნოს იგინი, რომ იძულებულია მორავიის შესახებაც იქონიოს მსჯელობა, რადგან ყოვლად შეუძლებელია მოპირდაპირეთა შეთანხმება, თუ ის მაინც არ დაუთმეს ჩეხებს, რის დათმობასაც გრაფი ტააფე უპირობდა 1890 წელსაო.

— კრაკოვის გაზ. „Czas"-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ტეშინიდგან (სილეზიიდგან), რომელშიაც დასახელებულია მიზეზი, თუ რად აბარებდნენ სიამოვნებით იქაური პოლონელები თავიანთ შვილებს გერმანელთა სკოლებში. საქმე ისაა, რომ ადგილობრივ მკვიდრ პოლონელებს აქამდე არა ჰყავდათ ინტელიგენცია, რომელსაც რაიმე გავლენა ჰქონოდა თანამემამულეთა ეროვნულ თვითცნობიერების გასაძლიერებლად. ჩეხებსა-კი—ამბობს კორესპონდენციის ავტორი—ძლიერი ინტელიგენცია ჰყავთ სილეზიაშიო. ყოველ ჩეხ ინჟენერს, თუ მოხელეს წმინდა მოვალეობად მიაჩნია გაავრცელოს თანამემამულეთა შორის ჩეხური ენა და ჩაუნერგოს გულში სიყვარული თავის ერისადმიო. მათი გავლენა თვით გერმანელთა გავლენასაც-კი აღემატებაო. ამიტომაა, რომ პოლონელები ამ უკანასკნელ ხანებში თავის შვილებს უფრო ჩეხურ სასწავლებლებში აბარებენ და არა გერმანულშიო.

ბულგარია. სოფიის გაზეთების ცნობით, ოსმალეთის მთავრობამ წინადადებით მიუმართავს ბულგარიის მთავრობისათვის,—სტამბოლელ სადიპლომატო აგენტის პირით—დაგვეხმარეთ, რომ ლტოლვილნი მაკედონელნი უკანვე დაბრუნდნენ და თავიანთ ფუძეს მოეპატრონონო. ოსმალეთის მთავრობა პირობას იძლევა, რომ ყველას სავსებით დაუბრუნდება დაუყოვნებლივ, თუ რამ დაუკარგავს ამ არეულობის დროსაო. ბულგარიის მთავრობას პასუხად შეუთვლია,—წინააღმდეგნი არა ვართ, რომ ბულგარიაში გადმოხვეწილი მაკედონელები უკანვე დაბრუნდნენ, მაგრამ ჩვენ მათ ძალას ვერ დავატანთ, რადგან დარწმუნებულნი არა ვართ, რომ მათ უარესი დღე არ დააყენონ, როცა შინ დაბრუნდებიანო.

იმავე გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის ოფიციალურ განცხადებაზე,—ბულგარიის მთავრობა განზრახ აზვიადებს მაკედონელთა მიმართ ოსმალთა სიმკაცრესაო,—ბულგარიის მთავრობას წინადადება მიუცია,—დაინიშნოს კომისია ბულგართა და ოსმალთაგან, იმ კომისიამ მიენდოს ადგილობრივ შეჰკრიბოს ყოველგვარი ცნობა, რომ აღდგენილ იქმნას სიმართლეო; ოსმალეთის მთავრობას ჯერ პასუხი არ მიუცია ამ წინადადებაზედაო.

სერბია. „Neues W. Journal"-ის საკუთარს კორესპონდენტს საუბარი ჰქონია სერბიის მეფესთან. მეფე ალექსანდრეს უთქვამს,—ყოვლად შეუძლებელია, რომ მაკედონიას ავტონომია მიენიჭოსო; ამის შესახებ ლაპარაკიც-კი მეტი იქნებაო. მხოლოდ ორი გზაა: ან იმავ წეს-წყობილობის ხელუხლებლად დატოვება, ან კიდევ ბერლინის ტრაქტატის დადგენილებათა გადასინჯვაო. თუ სხვაგვარ გადაწყვეტილებას დაადგენენ სახელმწიფოები, სერბია უეჭველად წინააღმდეგობას გაუწევს მათაო. მეფის ალექსანდრეს აზრით, ოსმალეთის მთავრობა კარგს იზამს, თუ ამ ჟამად მაკედონიაში მყოფ მეციხოვნეთ ანატოლიის ანუ არაბეთის ჯარებით შესცვლის, რადგან იგინი უფრო მიუდგომლად იმოქმედებენ და თავის მოვალეობას უფრო სინიდისიერად შეასრულებენო.

ინგლისი. ინგლისის გაზეთობა დიდ კმაყოფილებას აცხადებს, რომ ყველა მოდავე სახელმწიფო დასთანხმდა ჰააგის სამედიატორო სასამართლოს მიერ ვენესუელას საქმების გადაწყვეტას. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ეხლა მაინც მოეღება ბოლო საბრალო რესპუბლიკის განადგურებასაო.

გაზ. „Daily Mail"-ი ამბობს:

„როგორც იქნა, ბოლო მოეღო ამ უმგვანს ძალმომრეობას. ჭეშმარიტად სასიხარულოა ეს ამბავი! ჩვენმა უნიჭო დიპლომატიამ სრულიად დაჩრდილა ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებანი. გერმანიასთან შეთანხმებამ ამ საეჭვო საქმეში მეტად აღელვა მთელი საზოგადოება".

ლიბერალთა გაზეთი „Daily News"-ი ამბობს:

„დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ყოველის მხრით გვიკიჟინებდნენ,—დიდი დანაშაულია, სამშობლოს ღალატია, თუ მთავრობის მოქმედებას ეჭვის თვალით უყურებ, როცა იგი უცხო სახელმწიფოს ანგარიშში უწევსო. მაგრამ, სწორედ იგინი, რომელნიც სამშობლოს ღალატსა გვწამებდნენ, ეხლა თვით ჰკიცხავენ მთავრობის მოქმედებას და დაჟინებით თხოულობენ, რომ ინგლისმა თავი გაანებოს ძალადობას და მშვიდობიან პოლიტიკის გზას დაადგეს. რომ ამ სამის წლის წინად მოსვლოდათ თავში ეს კეთილი აზრი ჩვენს ომის მოტრფიალე მამულიშვილთ, ინგლისის ერი თავიდგან აიცდენდა ათასგვარ შეურაცხყოფას და არც 50,000 მხედარს შესწირავდა რაღაც ახირებულ თავმოყვარეობასაო.

—

შობა ჩერნოგორიაში. ჩერნოგორიაში შობის დღესასწაულის წინა დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი მიდის ტყეში, სჭრის ჩვეულებრივ ახალგაზრდა ხეს, სისქით ორ ვერშოკს და სიგრძით ერთ საჟენს და აკეთებს ნაკოდალს, რიცხვით იმდენს, რამდენიც სული მამრობითი სქესია ოჯახში.

მირკო, მეორე შვილი მთავრის ნიკოლოზისა, თვითონ მიდის იმ დღეს ტყეში და მიაქვს სასახლისთვის საჭირო რიცხვი ხეებისა.

დამზადებული ნაპობები მოაქვთ სახლში და ადებენ კერაზედ ცეცხლს ერთი ბოლოთი. შემდეგ ოჯახის უფროსი კაცი იხახავს პირჯვარს, იჩოქებს ცეცხლის წინ და აბნევს პურის მარცვლებს ნაპობებზედ. მეოჯახე ქალი ამ დროს მოუტანს მას ლანგრით ბრტყელს და მრგვალს პურს; მამაკაცი იღებს და ჯვარედინად ოთხჯერ სჭრავს პურს, მოასხამს ამ გვარადვე წითელ ღვინოს, სდებს მას შეშის გროვაზედ და ასხამს ღვინოს ნაპობებზედაც. შემდეგ ამისა ყველა ოჯახის წევრი მიდის კერასთან, სდებენ ვერცხლის ფულს ნაპობებზედ და ისურვებენ, რომ მომავალ წელიწადი მდიდარი იყოს ყოველ მით, რაც აწყვია ნაპობებზედ. მერე ყველა იქ მყოფნი დადგებიან კედლის სიგრძეზედ, ოჯახის უფროსი კაცი-კი დგება შუაზედ, იქით-აქეთ ამოუდგებიან ვაჟები და ქალები და ამ გვარად კითხულობს სადღესასწაულო წიგნიდგან იმ ადგილს, რაც შეეხება დღესასწაულს. ამ დროს ვაჟი წარმოსთქვამს სიმბოლოს სარწმუნოებისას, ქალიშვილი-კი საუფლო ლოცვას, წაკითხვის შემდეგ მეოჯახე ქალს მოაქვს ხონჩით ერთი ბოთლი კარგი ღვინო. მამაკაცი დაისხამს ღვინოს, უსურვებს ჩერნოგორიის ყოველისავე სიკეთეს, მშვიდობას, თანხმობას, კარგს მოსავალს ღვინისას, პურისას; წარმოსთქვამს სადღეგრძელოს მთავრის ნიკოლოზისას, ჩერნოგორიის მფარველის რუსეთის ხელმწიფის ნიკოლოზ მეორესას და ჩერნოგორიის ყველა ხალხის მეგობრებისას. ამავე დროს დედა მიაწოდებს ღვინოს ყველა ოჯახში მყოფს, მას მიჰყვებიან უკან ვაჟები და ქალები სხვა-და-სხვა მასპინძლობით. როგორც წითელს კვერცხებს ჩვენში სააღდგომოდ, ისე ყველა დაირიგებს ფორთოხლებს.

თვით დღესასწაულის დღეს ყოველ სახლში სუფრა იშლება დილიდგან იმ ოთახში, ჩალით მოგებულში, სადაც ეწყო ნაპობები. იქვე უნდა იდოს უსათუოდ ლანგარი ფორთოხლებით. ოთახის კუთხეში მაგიდაზედ სდებენ მთელს შემწვარ ცხვარს, ან ღორს; იქვე სძევს ხმალი.

ოჯახის უფროსი ადრიანად მიიპატიჟებს ერთ თავის მეგობართაგანს, რომელმაც პირველად უნდა გასჭრას საკლავი. ეს მეგობარი უნდა მივიდეს ყველაზედ ადრე და შეასრულოს თავისი ვალდებულება, რადგანაც უიმისოდ არავინ არ ჯდება სადილად. ისინი, რომელთაც ეწვევა მთავარი ნიკოლოზი, უცდიან მის მოსვლას და მიართმევენ ხმალს ცხვარის გასაჭრელად. საკლავი ერთის დაკვრით უნდა გაჭრილ იქმნას შუაზედ. როდესაც ცხვარი გაიჭრება, მასპინძელი და სტუმრები მოუჯდებიან სუფრას. სტუმრები თანდათან მოდიან ერთი მეორის შემდეგ, ულოცავენ მასპინძლებს, სამჯერ გადაკოცნიან და ეტყვიან: „ქრისტე დაიბადა". მასპინძლები უპასუხებენ; „ჭეშმარიტად". ყოველს შემომსვლელს თან მიაქვს თითო ფორთოხალი, რომელსაც სდებს სტოლზედ; წასვლისას იმასაც მიაქვს ლანგრიდგან ერთი ფორთოხალი და მიდის სხვა ნაცნობის ოჯახში.

ქალაქს ცეტინიეში თანამდებობის კაცნი იწყებენ წვეულებას სასახლიდგან, საიდგანაც შემდეგ გამოჰყვებიან მთავარს და ინახულებენ მიტროპოლიტს. მთავარი ნიკოლოზი მიტროპოლიტთან ერთად ინახულებს ხოლმე ამ დღეს ბევრს მოქალაქეს.

ვლადო ბზვანელი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„მარგარიტა გოტიე", დრამა 5 მოქ. დიუმასი, თარგმანი მიხ. ნასიძისა.

დიუმა-შვილის დრამა „მარგარიტა გოტიე" ბრწყინვალე შარავანდედით არის მოსილი იმტომ-კი არა, რომ იგი არა ჩვეულებრივი სადრამატურგო ან სალიტერატურო ნაწარმოები იყოს... არა, იგი შესანიშნავია მით, რომ ამ პიესის ბედ-იღბალი ევროპის საუკეთესო მსახიობ-ქალთა სახელთან არის დაკავშირებული.

სარა ბერნარმა, ელეონორა დუზემ და სხვათ რჩეულთა აღიყვანეს ეს ნაწარმოები ხელოვნების უმაღლეს საფეხურამდე და, მათის მიხედვით წათამამებული, თითქმის ყოველი დრამატიული მსახიობი-ქალი ისე ეტრფიალება ამ ნაწარმოებს, როგორათაც ფარვანა სანთელს და ხშირად, სწორედ ფარვანასავით, ფრთებსაც შეიტრუსავს ხოლმე ხელოვნების ცეცხლზედ.

რასაკვირველია, ჩვენთვის,—ახალის ფორმაციის ხალხისათვის,—ასეთი დრამა საინტერესო არ არის... ჩვენი მოთხოვნილება უფრო შორს მიისწრაფის... ჰაუპტმანისაკენ, იბსენისაკენ... ჩვენი სურვილია, რომ ჩვენი ჭკვა უფრო მეტს მოძრაობაში იყოს, ვიდრე ეს ძალუძს მარგარიტა გოტიეს... ჩვენ გვინდა, რომ მოდუნებული და მოლეშილი ნერვები ჩვენი უფრო ძლიერად იძაგრებოდეს და, თუ, მაინცა და მაინც მივდივართ მარგარიტას საცქერლად,—მხოლოდ იმიტომ, რომ მსახიობისაგან მოველით რაღაც „ახალს სიტყვას" ხელოვნებისას, ორიგინალურ განმარტებას როლისას.

მე ბევრი რამ მსმენია ქ-ნ ეფემია მესხის მიერ მარგარიტას როლის აღსრულების შესახებ. თუ ხსოვნა არ მიტყუის, ამ ხუთი ექვსი წლის წინად, ერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა მისი თამაშობა თითქმის სარა ბერნარის თამაშობას შეადარა. მართალია, მე ფიქრადაც არ მომივიდოდა ასეთი შედარება,—მაგრამ მაინც მეგონა, როცა თეატრში მივდიოდი, რომ ქ-ნი ეფემია მესხი, ცოტად თუ ბევრად, შესძლებდა ნაკისრებ მოვალეობის აღსრულებას.

მაგრამ... ამაშიაც მოვტყუვდი.

ქ-ნ ეფემია მესხის თამაშობა მარგარიტას სულის კვეთების, ტანჯვა-ვაების გადმოცემა-კი არ არის,--არამედ დაუსრულებელი ბრძოლაა მსახიობისა და როლის შუა. მთელის ხუთის მოქმედების განმავლობაში ჩვენ ვხედავდით ამ ბრძოლას და ყოველთვის როლი იყო გამარჯვებული მსახიობზედ. არ იყო არც ერთი წამი, როდესაც მსახიობს დაეჯაბნოს იგი.

მოვყვეთ პირველის მოქმედებიდგან, რომელიც იმით იწყება, რომ მარგარიტა ერთ თავისს მოტრფიალეთაგანს—ვარვილს—(ბ-ნი სვიმონიძე) ექსორიას უშვრება. კილო, იერი მარგარიტას ლაპარაკისა ვარვილთან დაცინვით, სარკაზმით არის აღსავსე, თუმცა ეს ლაპარაკი ნაწყვეტ-ნაწყვეტია. მსახიობმა ეს სცენა უმნიშვნელოდ განვლო. არსად სჩანდა გესლით სავსე ხმა,—მიწასთან გამასწორებელი გადახედვა... ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მაყურებლისათვის ცხადჰყოფს, რომ მარგარიტას უკვე მოსწყენია თვისი დამამცირებელი მდგომარეობა... ეს სცენა პირველი საფეხურია ახალის გრძნობისაკენ მიმავალ კიბისა. ამასთანავე, სინარნარე სიცქრიალე, ჰაეროვნება, რომლითაც მარგარიტა ჰხიბლავს ყველას,—მსახიობს სრულიად არ ეტყობოდა... თვით მისი განსაკუთრებული ყურადღება „კამელიებისადმი",—მსახიობმა არ აღნიშნა არავითარის სახის მოძრაობით, როდესაც ვარვილის მიერ მირთმეულს თაიგულს სხვა ყვავილებისას ზიზღით ისტუმრებს მოახლის ოთახში.

ჩრდილ-ქვეშ იყო აგრეთვე სცენა სუფრაზედ სხდომისა. აქ მარგარიტა ჩვეულებრივი „კოკოტკაა", „კურტიზანკა", ექსცენტრიული, მოქეიფე;—მსახიობი ქალი-კი ამ დროს სრულებით არც-კი სჩანდა.—ამიტომ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოვიდა ცეკვა მისი და ჰერცოგ სენ-გოტარდისა (ბ-ნი აწყურელი). ის წამი, როდესაც არმანი (ბ-ნი კ. მესხი) სიყვარულს განუცხადებს — მარგარიტას ცხოვრებაში მეტად დიდ-მნიშვნელოვანია.—კილო არმანის ლაპარაკისა როგორღაც უჩვეულოა,—გულწრფელობით აღსავსე,—ჭეშმარიტის სიყვარულით დასევდებული,—მაგრამ ცხოვრებაში გამოცდილი მარგარიტა „ჰო"-სა და „არა"-ს შუა ტორტმანებს, ეჭვი და იმედი—მასში ერთმანეთს ებრძვიან... ჯერჯერობით გამოუცდელი გრძნობაკი ნამდვილის სიყვარულისა თითქოს მის არსებაში რუსხმულს ირკვევს,—კმაყოფილება და მწარე მოგონებანი ერთი ერთმანეთს სცვლიან... ერთის სიტყვით, ვიდრე არმანი თავისს გრძნობის შესახებ უმღერს, — მარგარიტა სდუმს, მაგრამ ამავე დროს მსახიობის სახე მჭევრ-მეტყველურად უნდა ჰქადაგებდეს... გრძნობათა ცვალებადობის მთელი პოემა უნდა აღიბეჭდოს მსახიობის სახეზედ... ყველა ამის მაგიერ ქ-ნი ეფემია მესხი თავ-დახრილი იდგა და ერთი და იგივე, რაღაც გამოურკვეველი, ღიმილი, თუ მისი მსგავსი რამ გამომეტყველება ეხატებოდა სახეზედ.

(დასასრული იქნება)

—

ქუთაისი. ოთხი დღეა, რაც ქუთაისს ეწვია პეტერბურგიდგან რუსული დასი, რომელმაც სამი წარმოდგენა გამართა ზედი-ზედ.

სხვათა შორის, შაბათს, 21 დეკემბერს, დადგეს უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნიჭიერი აქტიორი ორლენევი.

შაბათს ითამაშეს მაქსიმ გორკის „Мѣщане", კარგი იყო ორლენევი. აქ ორლენევმა ითამაშა „ტეტერევის" როლი. უნდა აღვნიშნო, რომ ყოველი სიტყვა, ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა ნამდვილ „ტეტერევს" წარმოადგენდა.

წარმოდგენებზედ ხალხი ყოველთვის ბლომად ესწრებოდა.

მოგზაური.

ნარევი და ნაკვესი

ჩინური თქმულება.

როცა ხმალი დაჟანგებულია და სახნის-საკვეთი ჰბრწყინავს, როცა საპატიმროები დაცარიელებულია და ბეღლები პურით სავსეა, როცა ექიმები ფეხით დადიან და ყასბები-კი ცხენებით, ეს იმის ნიშნებია, რომ სახელმწიფოს ბრძენი მმართველები ჰყავს.

წერილები

რედაქციის მიმართ.

„ივერიის" ამა წლის № 273-ში მოთავსებულია ერთი პატარა წერილი ჭიათურიდგან, რომლის ავტორი ეხება ჭიათურის სამრევლო სკოლას და ბრძანებს, რომ „სკოლას მმართველი არ ჰყავსო! მავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს სურს გახსნას აქ ოთხ-კლასიანი სასწავლებელი; ჭიათურაში უკვე შეუდგნენ ეკლესიის აგებას, რომელიც მალე დამთავრდება და, ჰგონებენ, ამ ეკლესიის მოძღვარს დაეკისრება სკოლის ხელმძღვანელობაო, ამიტომ სასურველია, ისეთი კაცი იქმნეს არჩეული, რომელსაც შესაფერი ცოდნა-გამოცდილება ქონდეს სწავლა განათლების საქმეში და გულმხურვალედაც მოეკიდება თავის მოვალეობას" და სხ.

ამაზედ ბ. კორესპონდენტს შემდეგს მოვახსენებ: ჭიათურაში ორი სკოლაა, ერთი სამრევლო, მართლაც ორი მასწავლებელი და ამ სკოლას ჰყავს მმართველად მამა ისაია გაშაძე, სოფ. შუქრუთის მღვდელი და მკვიდრი მცხოვრები ჭიათურისა, რომელიც რიგიანად და პატიოსნურად მართავს სკოლის საქმეს, რაიცა მაზედ დამოკიდებულია. მეორე სკოლა საეკლესიოა და ამ უკანასკნელის მმართველი და სამღვთო სჯულის მასწავლებელი გახლავარ მე; ჩემს გარდა აქ ვიღაზედ მეტი მასწავლებელია. რაიცა შეეხება ჭიათურაში მღვდლის დანიშვნას, ვინ თხოულობს ამ თანამდებობას, ეს მე არ ვიცი, შეიძლება თვით კორესპონდენციის დამწერი თხოულობდეს! ისიც უნდა იცოდეს იმ წერილის მომწერმა, რომ მღვდლად განწესება რომელსამე სამრევლოში, სრული ნებაა ყოვლადსამღვდელოსი და არავითარ საბჭოს შუამდგომლობას მათ მეუფებაზედ გავლენა არ ექმნება. ჯერ-ჯერობით ჭიათურის მღვდლად მე ვირიცხები, ოფიციალური განკარგულებით. ეკლესიის ამშენებელი კომიტეტის თავმჯდომარეც მე გახლავარ.

მღვდელი ლავრენტი დევიძე.

„ივერიის" ფოსტა:

სანახშირე. ია—ძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

რუისი. ი. ბ.—ძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

24 დეკემბერი

სარატოვი. გარდაიცვალა ბელეტრისტი ილია ალექსანდრეს ძე სალოვი.

ნოვი-მარგელანი. უკანასკნელ აღრიცხვით, ანდიჟანსა და მისს მაზრაში დაიღუპა 4,500 კაცი, დაინგრა 30,000 სახლი, მარგილანის მაზრაში დაიღუპა 950 კაცი, დაინგრა 3,000 სახლი. ექვსს ადგილას გამართა სამკურნალო-საკვებო სადგური. დაჭრილებს ნაბდის ფარდულებში ათავსებენ. რუსი-მცხოვრებნი—ზოგი წავიდა ანდიჟანიდგან, ზოგი—თავს აფარებს ვაგონებსა და ნაბდის კარვებში. ბევრი სადგურების ნაკლებობაა. გუბერნატორის, რომელიც სცხოვრებს ანდიჟანს, ხელმძღვანელობით შენდება და შემწეობა ეძლევა ხალხს. დამ-დამე ექვსი გრადუსი სიცივეა. სუსტად ირყევა მიწა, ხოლო ხანგრძლივად.

მაროკკო. აჯანყებულნი ტომნი ემორჩილებიან სულთანს. მღელვარება ცხრება.

26 დეკემბერი.

ლონდონი. ვიკონტის დაუნის მეთაურობით 4 იანვარს ინგლისიდგან სპარსეთში გაემგზავრება მისია, რომელიც გაივლის ბერლინზედ, მოსკოვზედ და ბაქოზედ.

ვენა. ხმები, შესახებ იმპერატორის ავადმყოფობისა სიმართლეს მოკლებულია.

ბერლინი. „Ner. Allg. Zeit." იტყობინება: იმპერატორმა თვისი ბიუსტი უბოძა საფრანგეთის ელჩს ნოაილიურს, რომელიც სამსახურს თავს ანებებს.

ტანჟერი. ცნობა მოვიდა ფეციდგან, რომ ადგილობრივი მდგომარეობა არ შეცვლილა. ტანჟერის მცხოვრებნი მოელიან ცნობებს იმის შესახებ, სულთანის ჯარმა გაილაშქრა, თუ არა მეამბოხეთა წინააღმდეგ.

პრეტორია. ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, სთქვა, მე ძალიან მშვიდად ვარ, რადგან ყველამ თანაგრძნობით მიმიღო, თუმცა მიზნის განხორციელება მაინც ძნელიაო.

ბუდაპეშტი. ავსტრია-უნგრეთში შეთანხმება მოხდა.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეუთვალა სან-დომინგოს რესპუბლიკას, ჩქარა გადაიხადე ის 325,000 დოლლარი ვალი, რომელიც ამერიკელ მეგემეებთა საზოგადოებისა გმართებსო.

ბელგრადი. ცნობა იმის შესახებ, ვითომ სათადარიგო ჯარის კაცები გაიწვიეს, სიმართლეს მოკლებულია.

სოფია. სარიფოვი პარიჯს წავიდა სესხის აღების შესახებ შესათანხმებლად და იმის გამო, რომ აცნობოს ვარი სავაჭრო ხელშეკრულობის მადების. მთავრობა იწვევს ყველა სახელმწიფოთ დამნაშავეთა გაცემისა და საელჩო კონვეციის შეკვრის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ლაგუაირა. ამერიკის კანონერკის კაპიტანს კარაკასში სადმობა ექმნება ბოვენთან.

ძარაკასი. მთავრობის ჯარმა ხელთ ჩაიგდო სანოვაგე მეამბოხეებისა.

პარიჟი. ზღვათა მინისტრმა შემოიღო რვა საათიანი სამუშაო დღე სახელმწიფოს იმ არსენალებში, რომლებიც პორტს იქით არიან.

ჟენევა. „შვეიცარიის სტელეგ. სააგენტოს“ სიტყვით, საქსონის კრონ-პრინცესსამ მეფის გვარეულობის პატივისცემის გამო მოინდომა ჟენევაში დარჩენა პროცესიის დროს. ჟირონი მიდის და იცხოვრებს ლონდონში.

ვაშინგტონი. გერმანიისა და ინგლისის პასუხი გადაეცა პრეზიდენტს.

სტამბოლი. ინგლისის დესპანს პორტამ გამოუცხადა პროტესტი იმის გამო, რომ ინგლისელებმა, წინააღმდეგ პირობისა, რომელიც დაიდო იემენისა და ადენის შუა მდებარე მიწების შესახებ, გაიარეს ოსმალთა ჯარისაგან გაწმენდილი ხევაზიტისში ადგილი და ორს ადგილას ბაირაღებიც გამოჰკიდეს.

ფეცი. მდგომარეობა გაუმჯობესდა. სანოვაგე საკმაოდ მოდის.

პეკინი. დესპანებმა, გარდა ამერიკელისა, ხელი მოაწერეს ნოტას, რომელშიაც ნახსენებია, ჩინეთმა კონტრიბუცია უნდა გადაიხადოს ოქროთიო.

ტამბოვი. პირველ იანვრიდგან „ტამბოვის სიგუბ. უწყებები“ ყოველ დღიურ გაზეთად გადაკეთდება.

რეველი. საქონლის მატარებელი ლიანდაგს გადასცდა და დაეტაკა ორთქლმავალს. 11 ვაგონი გატყდა. სამი კაცი მსუბუქად დაშავდა.

ფოთი. ტელეგრამაში ფოთის ხაზინაზედ თავს დასხმის შესახებ შეცდომა მეგვპარა: ერთი ავაზაკი მოჰკლა ხაზინის მცველმა-კი არა, არამედ პოლიციელმა.

27 დეკემბერი

პეტერბურგი. დაინიშნა ვლადიკავკავის საოლქო სასამართლოს პროკურორი სკვორცოვი პორტ-არტურის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ.

გაზეთ „კურიერ“-ის გამოცემა სამის თვით შეჩერებულ იქმნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებათა ასის წლის თავის დღესასწაული დეკემბრის 29-სათვის დაინიშნა.

სტამბოლი. დეკემბრის 24-ს ზინოვიევი მიწვეული იყო ნადიმზე ილდიზ-კოშკში და შემდეგ ხონთქარმა ინახულა. სრუტეებზედ გემების გავლის შესახებ რუსეთის დესპანმა განაცხადა, რომ ის ოთხი გემი, რომელმაც თავისუფლად გავლის ნება დაერთო, სამხედრო ფლოტს არ ეკუთვნისო. სტამბოლის უმაღლეს წრეში იმ აზრისანი არიან, რომ უეჭველად შესრულებულ უნდა იქმნას ამის შესახებ აღთქმული პირობაო. სამხედრო საზღაურის იმ ნაწილის გადახდა, რომელიც დეკემბრის 31-ს უნდა მოხდეს, უზრუნველ ყოფილია. ამბობენ, მონასტრისა და უსკუბის ვალლი გადაყენებულ არიანო. ნიშნად იმისა რომ არსებული რეჟიმი შეიცვლებაო, ილდიზ-კოშკში როგორც ისმის მოლაპარაკება აქვთ ყველა ევროპიელ ვალლის გადაყენების შესახებ. ხმა გავარდა მოსალოდნელია სამინისტროს გამოცვლაო.

ვაშინგტონი. სენატის კომისიამ დაამტკიცა მოხსენება ამერიკის სავოველთაო საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

ასხაბადი. დეკემბრის 25 ს, დილის 11 საათზე ანდიჟანში ხელახლად იძრა მიწა. შენობებიდგან აგურები ჩამოცვივდა. უბედურება არა მომხდარარა.

მადრიდი. გენერალ ჰამალისასი ფეცს დაჭრილი დაბრუნდა. ხონთქარმა ბრძანება გასცა მის დაპატიმრებისა, რადგან თავი და თავი დამნაშავე დამარცხებისა ის არისო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	75,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,65
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა .	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	ციფრები ტელეგრაფისაგან შერყვნილია.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	ციფრები ტელეგრაფისაგან შერყვნილია.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89¾ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	410 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	205½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

სწერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა .	მ. 1	კ. „
ვეღურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა . . .	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები . . .	„	10
წმიდა აბო ტფილელი . :	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10



კახურ ღვინოების საწყობი
„ველის-ციხე“

საკუთარის მამულებიდგან

მიხეილ გიორგის ძე ტარასოვი ძმებით.

(პუშკინის ქუჩა, სახლი საკრედიტო საზოგადოებისა).

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ წლევანდელ უხვის მოსავლის გამო მოგვივიდა საუკეთესო კახური ღვინოები. კარგი სამუდამ-დღეო სახმარი ღვინო, ვედრო **თორმეტ აბაზიდგან სამ და ათ შაურამდე**, ხოლო თავი **ძველი ღვინოები ოთხ მანეთიდგან თორმეტ მანეთამდე**, ანუ ბოთლი საყოველ-დღე სახმარისა—15, 20 და 25 კაპ. ძველი თავი ღვინისა—25 კაპ.—1 მანეთამდე.

ჩვენვე ვკისრულობთ მიტანას ყველგან.

მუდმივ მუშტარს დაეთმობა უწყებული პროცენტი.

იმედია, საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას ჩვენს ფირმას, რომლის ღვინოებიც რამდენჯერმე იყო დაჯილდოვებული სხვა-და-სხვა გამოფენაზედ.

ჩვენი ღვინოები იყიდება ყოველ დიდ მაღაზიაში და სასტუმროებში.

(7—1) მ. გ. ტარასოვი ძმებით.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XX-й годъ изданія)

Условія подписки

съ доставкой и пересылкой:

на 12 мѣсяцевъ . . .	7 р. — к.	на 6 мѣсяцевъ . . .	4 р. — к.
„ 11 „ . . .	6 „ 50 „	„ 5 „ . . .	3 „ 50 „
„ 10 „ . . .	6 „ — „	„ 4 „ . . .	3 „ — „
„ 9 „ . . .	5 „ 50 „	„ 3 „ . . .	2 „ 50 „
„ 8 „ . . .	5 „ — „	„ 2 „ . . .	2 „ — „
„ 7 „ . . .	4 „ 50 „	„ 1 „ . . .	1 „ — „

За границу: на годъ 14 руб., на полгода 8 руб., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К° въ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—на 1-й стр.

(8—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ“

(XXIII годъ изданія).

Въ 1903 году „КАСПІЙ“, въ Баку, ежедневно будетъ выходить по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ особымъ нефтянымъ отдѣломъ, при той же самой подписной цѣнѣ.

По понедѣльникамъ и послѣпраздничнымъ днямъ будутъ разсылаться, по примѣру прошлыхъ лѣтъ, телеграммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Для иногородныхъ: на годъ 8 р. 50 к., на полгода—5 р., на 3 мѣсяца—3 р. и на 1 мѣс. 1 р. 50 коп.

За границу: на годъ 13 руб. на полгода—7 руб.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля 2 руб. и 15-го марта 2 руб.

Иногородные адресуютъ свои требованія, въ Баку, въ редакцію газеты „КАСПІЙ“.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Николаевская улица, домъ Г. З. Тагіева; въ Тифлисѣ—въ книжн. магазинѣ Браилко (бывш. Бѣгичева), Головинскій просп., № 10 у завѣдывающаго тифлисской агентурой газеты „КАСПІЙ“ и В. А. Герценштейна; въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ конторѣ т. Л. и Э. Метцль и к-о и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

Редакторъ-издатель **А. М.-б. Топчибашевъ.**

Открыта подписка на 1903 годъ

на общественно-литературную и политическую газету

„БАКУ“

съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

Съ пересылкой: на годъ **8 р. 50 к., 11 м. 7 р. 50 к., 10 м. 7 р., 9 м. 6 р. 50 к. 8 м. 6 р. 7 м. 5 р. 50 к. 5 м. 4 р. 50 к. 4 м. 4 р., 3 м. 3 р., 2 м. 2 р. 50 к., 1 м. 1 р. 50 к.**

За границу: на годъ **15 р.**, на полгода **8 р.**

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

За перемѣну адреса просятъ высылать **5** семикапеечныхъ марокъ.

Допускается разсрочка подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе **4 р. 50 к.**, а затѣмъ **15 февраля** и **15 марта** по **2 рубля**.

Допускаеттся разсрочка и на болѣе льготныхъ условіяхъ, но по соглашенію съ конторой редакціи.

Годовые подписчики на **1903** годъ въ **1902** г. получаютъ газету безплатно со дня подписки.

Подписка принимается въ г. Баку, въ конторѣ редакціи (Парапетъ, домъ Степановой).

Редакторъ-издатель **А. Н. Лавровъ.**

Открыта на 1903-й годъ подписка

НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

съ безплатнымъ приложеніемъ

„Вѣстника Горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ“

На 1903-й годъ въ портфелѣ редакціи имѣется много цѣнныхъ трудовъ авторовъ, какъ принимавшихъ участіе въ газетѣ ранѣе, такъ и новыхъ, и въ томъ числѣ столичныхъ.

По прежнему, время отъ времени будутъ выходить иллюстрированныя литературныя приложенія къ газетѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА въ Тифлисѣ: на 12 мѣс.—10 рул., на 11 мѣс.—9 р. 50 к., на 10 мѣс.—9 руб., на 9 мѣс.—8 р. 50 к., на 8 мѣс.—7 р. 75 к., на 7 мѣс.—7 р., на 6 мѣс.—6 р., на 5 мѣс.—5 р., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р., на 1 мѣс.—1 р.; иногороднымъ: на 12 мѣс.—11 р. 50 к., на 11 мѣс.—10 р. 75 к., нъ 10 мѣс.—9 р. 75 к., на 9 мѣс.—9 р., на 8 мѣс.—8 р. 25 к., на 7 мѣс.—7 р. 25 к., на 6 мѣс.—6 р. 50 к., на 5 мѣс.—5 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р. 50 к., на 3 мѣс.—3 р. 25 к., на 2 мѣс.—2 р. 25 к., на 1 мѣс. 1 р. 25 к.; заграницу: на 12 мѣс.—17 р.. на 11 мѣс.—16 р., на 10 мѣс.—15 р., на 9 мѣс.—13 р. 50 к., на 8 мѣс.—12 р., на 7 мѣс.—10 р. 50 к., на 6 мѣс. 9 р., на 5 мѣс.—7 р. 50 к., на 4 мѣс.—6 р. на 3 мѣс.—4 р. 50 к., на 2 мѣс.—3 р., на 1 мѣс.—1 р. 75 к. ОБЪЯВЛЕНІЯ: съ мѣстн. объявл. (кавказскихъ) за строку петита или занимаемое ею мѣсто на 1-й стр.—16 к., и на 4-й стр.—8 к. **Многократныя объявленія со значительной скидкою.**

Подписка и пріемъ объявленій въ конторѣ газ. „Кавказъ“ (Тифлисъ, Эриван. пл., д. Харазовой). Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій за границей, Петербурга, Москвы, Царства Польскаго и прибалтійскихъ губ. принимаются въ конторѣ объявленій А. и Э. Метцль и К-о въ Москвѣ и Петербургѣ—по 10 к., на 1-й стр. вдвое.

Плата за объявленія въ «Вѣстникѣ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ» за строку петита (50 буквъ) 15 к., за цѣлую страницу 20 руб. Многократныя объявленія по соглашенію. Отдѣльные №№ по 15 коп.

(5—4)

Дозволено цензурою. Тѳфлисъ, 24 декабря 1902 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.